

იურიდიული ფირმების ასოციაციის წესდება

დამტკიცებულია საერთო კრების მიერ
2018 წლის “27” დეკემბრის №6 კრების ოქმით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია

წ ე ს დ ე ბ ა
(ახალი რედაქცია)

თბილისი
2018 წელი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელწოდება

- 1.1 ასოციაციის სრული სახელწოდებაა
 - ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია”;
 - ინგლისურად: **Non-commercial Legal Entity “Association of Law Firms of Georgia”.**
- 1.2. ასოციაციის შემოკლებული სახელწოდებაა:
 - ქართულად: “სიფა”;
 - ინგლისურად: **ALFG.**

მუხლი 2. ასოციაციის სამართლებრივი მდგომარეობა/სტატუსი

- 2.1. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (შემდგომში “ასოციაცია”) წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას, რომელიც შექმნილია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.
- 2.2. ასოციაცია არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს ასოციაცია იძენს დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 2.3. ასოციაციას აქვს ბეჭედი და ბლანკი, რომელიც შეიცავს მის სრულ სახელწოდებას. ასოციაციას შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ემბლემა და სიმბოლიკა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები.
- 2.4. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე ასოციაცია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- 2.5. წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად ასოციაცია უფლებამოსილია, გაწევრიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო/ადგილობრივ გაერთიანებებში ან მიიღოს მონაწილეობა ასეთი გაერთიანებების შექმნაში.
- 2.6. ასოციაცია საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს თავისი ქონებით. ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი მისი წევრების ან/და ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.
- 2.7. ასოციაცია უფლებამოსილია დააფუძნოს ფილიალები/წარმომადგენლობები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.
- 2.8. ასოციაციის ადგილსამყოფელია/იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჭავთარაძის ქ. 21, სადარბაზო 1, სართული 2, ბ. 3, ბლოკი, “A”.
- 2.9. ასოციაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
- 2.10. ასოციაციის ელექტრონული მისამართია office@alfg.ge

თავი II. ასოციაციის მიზნები და საქმიანობა

მუხლი 3. ასოციაციის მიზნები

- 3.1. ასოციაციის მიზანია:
 - ა. იურიდიული ფირმების/საადვოკატო ბიუროების კორპორაციული უფლებებისა და ინტერესების დაცვა;
 - ბ. ადვოკატის უფლებებისა და ინტერესების დაცვა, ხელშეწყობა და განვითარება;
 - გ. პროფესიული ეთიკური სტანდარტების დაცვა და განვითარება;
 - დ. იურიდიული პროფესიის განვითარება და იურიდიული განათლების ხელშეწყობა;

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

- ე. ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე პირის, ადგილისა და როლის განმტკიცება;
- ვ. იურიდიული მომსახურების ხარისხის ზრდა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მუხლი 4. ასოციაციის საქმიანობა

- 4.1. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებად ასოციაცია ეწევა შემდეგ საქმიანობას:
- ა. ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, ატარებს კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, ატარებს მრგვალ მაგიდებს, შეხვედრებს საადვოკატო საქმიანობის და იურიდიული პროფესიის პრობლემატურ საკითხებზე;
 - ბ. ურთიერთობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ასოციაციის მიზნების განხორციელებისათვის;
 - გ. შეიმუშავებს მექანიზმებს მისი წევრი იურიდიული ფორმებისა და ადვოკატების მიმართ კანონის დარღვევის შემთხვევაში მათ დასაცავად;
 - დ. პროფესიული ეთიკის სტანდარტების ასამაღლებლად ატარებს სემინარებს და კონფერენციებს;
 - ე. მხარეთა სურვილის შემთხვევაში გამოდის მედიატორად იურიდიულ ფორმებს შორის, იურიდიულ ფორმებსა და მათ ადვოკატებს, იურიდიულ ფორმებსა და მათ კლიენტებს შორის;
 - ვ. ამზადებს და წარუდგენს წინადადებებს საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს;
 - ზ. თანამშრომლობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, ადვოკატთა და იურისტთა სხვა გაერთიანებებთან, უნივერსიტეტებთან და სხვა სამეცნიერო/სასწავლო დაწესებულებებთან.
 - თ. გამოსცემს ასოციაციის ჟურნალს და სხვა პერიოდულ გამოცემებს
 - ი. საწესდებო მიზნების მისაღწევად ასოციაცია ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. ასოციაციას უფლება აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც შეიძლება ატარებდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

თავი III. ასოციაციის წევრობა

მუხლი 5. ასოციაციის დამფუძნებელი წევრები

- 5.1. ასოციაციის დამფუძნებელი წევრები არიან:
- სპს “აკაკი ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 13.12.2012 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 404968521; იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას №15ა, ბ.28ა); წარმომადგენელი: დირექტორი აკაკი ჩარგეიშვილი (პირადი №62001001781; მისამართი: თბილისი, არაყიშვილის 8ა, ბ. 13)
 - სპს “ამირაშვილი, გოგიშვილი & შენგელია” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 26.09.2002 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204440097; იურიდიული მისამართი: თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №12ა); წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი მინდობილობის საფუძველზე გონა გოგიშვილი (პირადი №01026006052; მისამართი: თბილისი, ს. ჩიქოვანის 38, ბ. 70)
 - შპს “ბეგიაშვილი და კომპანია” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 29.08.1995 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 203835699; იურიდიული მისამართი: თბილისი, კეკელიძის ქ. №9); წარმომადგენელი: დირექტორი გიორგი ბეგიაშვილი (პირადი №01008003204; მისამართი: ქ. თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. №20, ბ.15)

- შპს “**ბი-ელ-სი**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 16.12.2003 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204451039; იურიდიული მისამართი: თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №4); წარმომადგენელი: დირექტორი ქეთევან ქვარცხავა (პირადი №01030018803; მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 48)
- შპს “**ბი-ჯი-აი ედვაიზორი სერვისიზ ჯორჯია**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 27.06.2005 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 205077398; იურიდიული მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №18); წარმომადგენელი: დირექტორი ზაზა ბიბილაშვილი (პირადი №01008004613; მისამართი: თბილისი, ატენის ქ. №16, ბ. 27)
- შპს “**ბოჭორიშვილი, მიქანაძე, პაპუაშვილი-ბიზნეს იურიდიული კონსულტაცია**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2008 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204559012; იურიდიული მისამართი: თბილისი, ზაქარიაძის ქ. №11, ბ. 11); წარმომადგენელი: დირექტორი კობა ბოჭორიშვილი (პირადი №41001002533; მისამართი: თბილისი, ჩიქოვანის ქ. 18ბ, ბ. 59)
- სპს “**გაბრიჩიძე და კომპანია**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 05.06.2006 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204510163; იურიდიული მისამართი: თბილისი, ზანდუკელის ქ. 7); წარმომადგენელი: დირექტორი ვლადიმერ გაბრიჩიძე (პირადი №01005017004; მისამართი: თბილისი, ტოვსტონოგოვის ქ. 6)
- შპს “**ბეწაძე და პატეიშვილი**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 17.03.2006 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 205135003; იურიდიული მისამართი: თბილისი, ბარათაშვილის ქ. №6/10, მე-3 სადარბაზო, ბ. №31); წარმომადგენელი: დირექტორი მაკა ჯაფარიძე (პირადი №01019012586; მისამართი: თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქ. ა კორპ. ბ. 63)
- შპს **იურიდიული ფირმა VBAT** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 23.07.2004 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 205036290; იურიდიული მისამართი: თბილისი, ბახტრიონის ქ. №26, ბ. 31); წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი მინდობილობის საფუძველზე დავით კვაჭანტირაძე (პირადი №01010009260; მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, I კვ. 15 კორპ. ბ. 27)
- კს “**კორძაძის საადვოკატო ბიურო**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 20.12.2002 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204997511; იურიდიული მისამართი: თბილისი, ქავთარაძის ქ. №21 ბლოკი A; I სადარბაზო, მე-2 სართული, ბ.3); წარმომადგენელი: დირექტორი (ხელმძღვანელი) **ზვიად კორძაძე** (პირადი №01025004482; მისამართი: ბულაჩაურის ქ. №7);
- სპს **საადვოკატო ბიურო კორძახია, ულენტი** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07.08.2002 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204438162; იურიდიული მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. 10); წარმომადგენელი: დირექტორი ირაკლი კორძახია (პირადი №01009000775; მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 80, ბლ. 6, ბ. 11)
- შპს “**კუბლაშვილი და პარტნიორები**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 08.04.2009 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 205276743; იურიდიული მისამართი: თბილისი, კოსტავას 71); წარმომადგენელი: დირექტორი მარიამ კუბლაშვილი (პირადი №08001006108; მისამართი: თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37, ბ. 11)
- შპს **ლო კონსალტინგ გრუპ (LTD Law Consulting Group)** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 17.06.2013 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 406096184; იურიდიული მისამართი: თბილისი, ვარკეთილი, მესამე მასივი, ზემო პლატო, კორპ 13, ბ. 66); წარმომადგენელი: დირექტორი ქეთევან მირიანაშვილი (პირადი №01017008993; მისამართი: თბილისი, ზაქარიაძის ქ. 8)
- შპს “**ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები**” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 22.08.2005 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204484628; იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, ბლოკი IV, სართული IV, ოფისი 28);

წარმომადგენელი: დირექტორი ლაშა ნოდია (პირადი № 19001001627; მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №71, ბ. №53)

- შპს იურიდიული კომპანია “პროცესი” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 16.07.2010 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 404384894; იურიდიული მისამართი: თბილისი, გოგებაშვილის მესამე შესახვევი №4, ბ. 17); წარმომადგენელი: დირექტორი იოსებ ბარათაშვილი (პირადი №01030006418; მისამართი: თბილისი, გოგებაშვილის III შესახვევი №4, ბ. 17)
- შპს “სამხარაძე, პაქსაძე და პარტნიორები” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 28.01.2008 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204547204; იურიდიული მისამართი: თბილისი, ბახტრიონის ქ. №39, ბ. 39); წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი მინდობილობის საფუძველზე ემზად პაქსაძე (პირადი №61002010360; მისამართი: თბილისი, ბახტრიონის ქ. №39, ბ. 39)
- კს საადვოკატო ბიურო - სვანიძე და პარტნიორები (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 06.02.2003 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 204442601; იურიდიული მისამართი: თბილისი, ვერეს მარცხენა სანაპირო, (იგივე ჩიქოვანის ქუჩა №34), საზოგადოებრივი ფართი №2); წარმომადგენელი: დირექტორი გონა სვანიძე (პირადი №01006005613; მისამართი: თბილისი, გერგეთის შესახვევი №3, ბლოკი ბ, ბინა №7)
კს “ტარიელ შავიშვილი და იურიდიული კომპანია ატორნი” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 19.12.2001; საიდენტიფიკაციო კოდი: 204432211, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია. ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №27/9) წარმომადგენელი: დირექტორი: ტარიელ შავიშვილი (პირადი ნომერი: 33001006453, მისამართი: თბილისი, კრწანისის ქ. 22-24, “ა” ბლოკი, ბ. 13)
- სპს უსუფაშვილი და ზედელაშვილი – ადვოკატთა ჯგუფი (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 08.06.2005; საიდენტიფიკაციო კოდი: 204480098, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვერხცლის ქ. №41) წარმომადგენელი: დირექტორი: გიორგი ზედელაშვილი (პირადი ნომერი: 01027005212, მისამართი: თბილისი, მე-3 მასივი, ზ/პლატო, კორპ. 4, ბ. 42)
- შპს “ქართული იურიდიული ჯგუფი” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 25.03.2003; საიდენტიფიკაციო კოდი: 205002646, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბამბის რიგი №7) წარმომადგენელი: დირექტორი: დავით კაკაბაძე (პირადი ნომერი: 01023001828, მისამართი: თბილისი, ქსნის ქ. 12, ბ. 40)
- შპს “ღვინაძე და პარტნიორები” (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 11.12.2009 წელი; საიდენტიფიკაციო კოდი: 205294545; იურიდიული მისამართი: თბილისი, კოტე აფხაზის ქ. №44); წარმომადგენელი: დირექტორი ნიკოლოზ ღვინაძე (პირადი №01008002431; მისამართი: თბილისი, ქობულეთის ქ. №34ა)

მუხლი 6. ასოციაციის წევრი; ასოციაციის წევრად მიღება

- 6.1. წინამდებარე წესდებით ღვინდება ასოციაციის წევრის ორი სტატუსი:
 - ა. ნამდვილი წევრი
 - ბ. ასოცირებული წევრი
- 6.2. მხოლოდ ნამდვილ წევრებს გააჩნიათ ასოციაციის მართვის ორგანოებში კანდიდატების წარდგენის, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და ხმის უფლება. ასოცირებული წევრები კი სარგებლობენ მხოლოდ ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარებში, პროგრამებსა და მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების უფლებით.
- 6.3. **ასოციაციის ნამდვილი წევრი:**
 - 6.3.1. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული დამფუძნებელი წევრები არიან ასოციაციის ნამდვილი წევრები. ამასთან, ასოციაციის ნამდვილი წევრი შეიძლება იყოს

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

მხოლოდ იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე 6.3. მუხლით განსაზღვრულ ყველა შემდეგ პირობას:

- ა. ნამდვილი წევრობის მსურველმა პირმა წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, გაწევრიანების მოთხოვნით, მიმართა ასოციაციას და ამ წესდებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად მიღებული იქნა ასოციაციის ნამდვილ წევრად;
- ბ. ნამდვილი წევრობის მსურველი პირი/წევრი იზიარებს ასოციაციის მიზნებსა და იცავს წინამდებარე წესდების, ასოციაციის მიერ მიღებული აქტების მოთხოვნებს;
- გ. ნამდვილი წევრობის მსურველი იურიდიული პირის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობა.

6.3.2. ასოციაციის ნამდვილი წევრობის მსურველი იურიდიული ფორმა ასოციაციის გამგეობას (შემდგომში “გამგეობა”) მიმართავს წერილობითი განცხადებით ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- ა. იურიდიული ფორმის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ. იურიდიული ფორმის წესდება;
- გ. იურიდიული ფორმის უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე;
- დ. იურიდიული ფორმის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ე. იმ პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ ფორმას იურიდიული ფორმის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაფორმებული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ვ. წინამდებარე 6.3.2 მუხლის “ე” პუნქტით გათვალისწინებული მინდობილობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ზ. ასოციაციის ორი ნამდვილი წევრი იურიდიული ფორმის ხელმძღვანელის/დირექტორის რეკომენდაცია;
- თ. იურიდიული ფორმის პროფაილი, ხელმოწერილი იურიდიული ფორმის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- (1) იურიდიული ფორმის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და იმ იურიდიული მომსახურების ჩამონათვალი, რომელსაც იურიდიული ფორმა უწევს მის კლიენტურას;
- (2) იურიდიულ ფორმაში გაერთიანებული/დასაქმებული, ასოციაციის ასოცირებული წევრობის მსურველი ადვოკატის/ადვოკატების ვინაობა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები, ამ ადვოკატის/ადვოკატების თანხმობა ასოციაციის ასოცირებულ წევრობაზე და სამართლის იმ დარგების მითითება, რომელშიც ისინი ასოცირდებიან საადვოკატო საქმიანობას;
- (3) ინფორმაცია იურიდიული ფორმის ადგილსამყოფელის/იურიდიული მისამართის შესახებ; საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა); ვებ-გვერდის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.3.3. გაწევრიანების შესახებ იურიდიული პირის განცხადების საფუძველზე ასოციაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, რის თაობაზეც ეცნობება განცხადებელს.

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

6.3.4. იურიდიული ფორმა ასოციაციის ნამდვილი წევრის სტატუსს იძენს გამგეობის მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

6.4. ასოციაციის ასოცირებული წევრი:

- 6.4.1. ასოციაციის ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი:
- ა. ასოციაციის ნამდვილ წევრ იურიდიული ფორმაში დასაქმებული/გაერთიანებული ადვოკატი ამ წესდების 6.4.2 მუხლის შესაბამისად;
 - ბ. ადვოკატი, რომელსაც შეუნარჩუნდა ასოცირებული წევრის სტატუსი წინამდებარე წესდების 6.4.6. ან 6.4.7. ან 6.4.10. მუხლების შესაბამისად;
 - გ. წინამდებარე წესდების 6.4.12. მუხლით განსაზღვრული ადვოკატი, რომელიც არ არის დასაქმებული/გაერთიანებული ასოციაციის წევრ იურიდიულ ფორმაში და, რომელიც ამ წესდების 6.4.12. მუხლის, 6.4.13. მუხლისა და 6.4.14. მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიღებული იქნა ასოციაციის ასოცირებულ წევრად.
- 6.4.2. ასოციაციის ნამდვილ წევრ იურიდიულ ფორმაში დასაქმებული/გაერთიანებული ადვოკატი ასოცირებული წევრის სტატუსს იძენს:
- ა. ნამდვილი წევრი იურიდიული ფორმის მიერ ამ წესდების 6.3.2. მუხლის “თ” პუნქტის “(2)” ქვეპუნქტის შესაბამისად ასოციაციაში წარდგენილი პროფაილის მონაცემების საფუძველზე, რომელსაც ცნობად იღებს გამგეობა, ან
 - ბ. ასოციაციის ნამდვილ წევრ იურიდიულ ფორმაში გაერთიანებული/დასაქმებული, ასოციაციის ასოცირებული წევრობის მსურველი ადვოკატის/ადვოკატების ასოცირებულ წევრად/წევრებად მიღების თაობაზე ნამდვილი წევრი იურიდიული ფორმის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელსაც ცნობად იღებს გამგეობა. განცხადებას თან უნდა დაერთოს ამ ადვოკატის/ადვოკატების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები, ადვოკატის/ადვოკატების თანხმობა ასოციაციის ასოცირებულ წევრობაზე და სამართლის იმ დარგების მითითება, რომელშიც ადვოკატი/ადვოკატები ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას.
- 6.4.3. თუ წინამდებარე წესდების 6.4.2. მუხლით განსაზღვრული ასოციაციის ასოცირებული წევრი ადვოკატი აღარ არის იურიდიულ ფორმაში დასაქმებული/გაერთიანებული ან თუ იურიდიული ფორმას ამ წესდების შესაბამისად შეუწყდება წევრობა, ადვოკატს უნარჩუნდება ასოცირებული წევრის სტატუსი მხოლოდ ამ წესდების 6.4.6. მუხლით ან 6.4.7 მუხლით ან 6.4.10 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
- 6.4.4. თუ ამ წესდების 6.4.2. მუხლით განსაზღვრული ასოციაციის ასოცირებული წევრი ადვოკატი აღარ არის იურიდიულ ფორმაში დასაქმებული/გაერთიანებული, ასოციაციის ნამდვილი წევრი იურიდიული ფორმა ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს ასოციაციას. ამასთან, იურიდიულ ფორმას უფლება აქვს დამატებით მოითხოვოს ამ პირის ასოცირებული წევრობის შეწყვეტა, რისთვისაც იგი ვალდებულია, ასოციაციას აცნობოს მისი მოთხოვნის შესაბამისი საფუძველი და გარემოებები. დადგენილ ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების ასოციაციისათვის შეუტყობინებლობა წარმოადგენს ასოცირებული წევრობის შეწყვეტის საფუძველს, რაც გამგეობის მიერ მიიღება ცნობად.
- 6.4.5. წინამდებარე წესდების 6.4.4. მუხლით განსაზღვრული შეტყობინების შემთხვევაში ასოციაცია შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში უკავშირდება შეტყობინებაში დასახელებულ ასოცირებულ წევრს, რომელიც ვალდებულია ასოციაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ასოციაციას მისი გადაწყვეტილება ასოცირებულ წევრად დარჩენის ან წევრობის შეწყვეტის თაობაზე.
- 6.4.6. ამ წესდების 6.4.2. მუხლით განსაზღვრული ასოცირებული წევრი ავტომატურად ინარჩუნებს ასოცირებული წევრის სტატუსს და გამგეობის სხდომის ჩატარება და გამგეობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება წინამდებარე

იურიდიული ფირმების ასოციაციის წესდება

წესდების 6.4.4. მუხლით განსაზღვრულ შეტყობინებაში დასახელებული ასოცირებული წევრის წევრობის შენარჩუნებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით არ მოხდება, თუ

(ა) 6.4.4. მუხლით განსაზღვრულ შეტყობინებაში ასოციაციის ნამდვილი წევრი იურიდიული ფირმა არ მოითხოვს წევრის ასოცირებული წევრობის შეწყვეტას, და

(ბ) 6.4.5 მუხლით განსაზღვრული წესით ასოცირებული წევრი განაცხადებს წერილობით თანხმობას, ასოციაციის ასოცირებულ წევრად დარჩენის თაობაზე.

6.4.7. თუ 6.4.4. მუხლით განსაზღვრულ შეტყობინებაში ასოციაციის ნამდვილი წევრი იურიდიული ფირმა ითხოვს ასოცირებული წევრის ასოცირებული წევრობის სტატუსის შეწყვეტას და 6.4.5. მუხლით გათვალისწინებული წესით ასოცირებული წევრი წერილობით განაცხადებს მის გადაწყვეტილებას, ასოციაციის ასოცირებულ წევრად დარჩენის თაობაზე, ამ პირის ასოცირებული წევრობის სტატუსის შენარჩუნების ან შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით.

6.4.8. თუ 6.4.5. მუხლით გათვალისწინებული წესით ასოცირებული წევრი უარს განაცხადებს ასოცირებულ წევრობაზე, წევრის ეს გადაწყვეტილება გამგეობის მიერ მიიღება ცნობად.

6.4.9. თუ ამ წესდების შესაბამისად ნამდვილ წევრ იურიდიულ ფირმას შეუწყდება ასოციაციის წევრობა, ასოციაცია უკავშირდება ასოცირებული წევრის სტატუსის მქონე ამ იურიდიულ ფირმაში დასაქმებულ/გაერთიანებულ ადვოკატს/იურისტს, რომელიც ვალდებულია, ასოციაციის მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ასოციაციას მისი გადაწყვეტილება ასოცირებულ წევრად დარჩენის ან წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

6.4.10. თუ 6.4.9. მუხლით გათვალისწინებული წესით ასოცირებული წევრი წერილობით განაცხადებს მის გადაწყვეტილებას ასოციაციის ასოცირებულ წევრად დარჩენის თაობაზე, ამ პირის ასოცირებული წევრობის სტატუსის შენარჩუნების ან შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით.

6.4.11. თუ 6.4.9. მუხლით გათვალისწინებული წესით ასოცირებული წევრი უარს განაცხადებს ასოცირებულ წევრობაზე, წევრის ეს გადაწყვეტილება გამგეობის მიერ მიიღება ცნობად.

6.4.12. ასოციაციის ასოცირებული წევრობის მსურველი ადვოკატი, რომელიც არ არის დასაქმებული/გაერთიანებული ასოციაციის წევრ იურიდიულ ფირმაში, ასოციაციის გამგეობას მიმართავს წერილობითი განცხადებით ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- ა. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ. ასოცირებული წევრობის მსურველი ფიზიკური პირის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის მოწმობის ასლი;
- გ. ბიოგრაფია (CV);
- დ. საკონტაქტო ინფორმაცია: პირის საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მისამართები, საკონტაქტო ტელეფონი; ასევე ინფორმაცია ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ;
- ე. ასოციაციის ერთი ნამდვილი წევრი იურიდიული ფირმის ხელმძღვანელის/დირექტორის რეკომენდაცია.

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

- 6.4.13. წინამდებარე წესდების 6.4.12. მუხლით გათვალისწინებული განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე ასოციაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, რის თაობაზეც ეცნობება განცხადებელს.
- 6.4.14. ამ წესდების 6.4.13. მუხლით დადგენილი წესით ადვოკატი ასოციაციის ასოცირებული წევრის სტატუსს იძენს გამგეობის მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

მუხლი 7. ასოციაციის წევრის უფლება-მოვალეობები

- 7.1. ასოციაციის ნამდვილი წევრი იურიდიული პირი თავის უფლებამოსილებებს ასორციელებს მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან მინდობილი პირის მეშვეობით. ასოციაციის ნამდვილ წევრს უფლება აქვს:
- ა. მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;
 - ბ. აირჩიოს ასოციაციის მმართველობითი ორგანოების წევრები;
 - გ. მისი წარმომადგენელი (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ან მინდობილი პირი, რომელიც არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი) არჩეულ იქნას ასოციაციის მმართველობითი ორგანოების წევრად;
 - დ. მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;
 - ე. გაეცნოს ასოციაციის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
 - ვ. თავისი სურვილით გავიდეს ასოციაციიდან.
- 7.2. ასოციაციის ასოცირებულ წევრს უფლება აქვს:
- ა. მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;
 - ბ. კვალიფიკაციის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის პროგრამებსა და პროექტებში;
 - გ. გაეცნოს ასოციაციის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
 - დ. თავისი სურვილით გავიდეს ასოციაციიდან.
- 7.3. ასოციაციის ყველა წევრი ვალდებულია:
- ა. დაიცვას ასოციაციის წესდებისა და ასოციაციის მიერ მიღებული აქტების მოთხოვნები;
 - ბ. ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისას ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
 - გ. დაიცვას და გაუფრთხილდეს ასოციაციის რეპუტაციასა და ქონებას;
 - დ. წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო გადასახადი;
 - ე. საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილება წარუდგინოს ასოციაციას ცვლილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში; ხოლო (იურიდიული პირებისათვის) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შემთხვევაში – ცვლილების რეგისტრაციის დღეს.

მუხლი 8. ასოციაციის წევრობის შეწყვეტა

- 8.1. ასოციაციის წევრს ასოციაციის წევრობა შეუწყდება:
- ა. ნებაყოფლობით წევრის განცხადების საფუძველზე; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე (თანდართული იურიდიული პირის უფლებამოსილი

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

ორგანოს/პირის მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობიდან გასვლის თაობაზე;

- ბ. საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში;
- გ. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
- დ. ასოცირებული წევრის გარდაცვალების შემთხვევაში;
- ე. ცნობილი გახდა ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც შეუსაბამოა წევრის ასოციაციაში წევრობასთან ან/და რომელიც გამოიწვევდა ამ წევრის ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმას;
- ვ. ისეთი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;
- ზ. წესდებითა და ასოციაციის მიერ მიღებული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;
- თ. ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ღალატს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის ასოციაციის რეპუტაციასა და ავტორიტეტს; ზიანს აყენებს ან ქმნის ასოციაციის ქონებისადმი ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს;
- ი. არასაპატიო მიზეზით ასოციაციის საერთო კრებაში, ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის სისტემატურად თავის არიდების შემთხვევაში;
- კ. წინამდებარე წესდების 6.4.8 ან 6.4.11 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
- ლ. (ასოცირებული წევრის) ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში;
- მ. სხვა ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომელთა შეფასების შემდეგ გამგეობა მიზანშეწონილად მიიჩნევს წევრის წევრობის შეწყვეტას.

8.2. წინამდებარე წესდების 8.1. მუხლის “ბ”, “ე” “ვ”, “ზ”, “თ”, “ი” და “მ” პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ მიიღება გამგეობის მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით; ხოლო “ა” “გ” “დ” “კ” და “ლ” პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები გამგეობის მიერ მიიღება ცნობად.

8.3. ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ გამგეობის გადაწყვეტილება ეცნობება წევრს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, გარდა წინამდებარე წესდების 8.1. მუხლის “ა” “გ” “დ” “კ” და “ლ” პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და წევრი კარგავს ასოციაციის წევრობის სტატუსს.

თავი III. ასოციაციის მართვის ორგანოები
მუხლი 9. მართვის ორგანოები

9.1. ასოციაციის მართვის ორგანოებია ასოციაციის საერთო კრება (შემდეგში “საერთო კრება”) და გამგეობა.

მუხლი 10. საერთო კრება

10.1. ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ მაინც და იგი მოიწვევა გამგეობის ან ასოციაციის თავმჯდომარის მიერ. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ასოციაციის ნამდვილ წევრთა ნახევარზე მეტი. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში განმეორებითი საერთო კრება იმავე დღის წესრიგით მოიწვევა 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში. განმეორებითი საერთო კრება უფლებამოსილია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

- 10.2. საერთო კრებაზე ნამდვილი წევრი იურიდიული პირი წარმოდგენილია იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან. ამასთან, იურიდიული პირი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ამ პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე სხვა ნებისმიერი პირით, რომელიც არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი. იურიდიული პირის კრებაზე წარმომადგენელი ასევე შეიძლება იყოს სხვა ნამდვილი წევრის წარმომადგენელი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.
- 10.3. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნისა და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვთ ნამდვილ წევრთა არანაკლებ 10%-ს (ათი პროცენტი) ან აღმასრულებელ დირექტორს.
- 10.4. საერთო კრების დღის წესრიგის შემუშავებასა და ასოციაციის ნამდვილი წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას უზრუნველყოფს ასოციაციის თავმჯდომარე. ასოციაციის თავმჯდომარე ასევე უზრუნველყოფს წინამდებარე წესდების 10.3. მუხლით განსაზღვრული პირების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას. ასოციაციის თავმჯდომარის მიერ წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ ვალდებულებების შესრულება ეკისრება ასოციაციის გამგეობას.
- 10.5. ასოციაციის საერთო კრება ტარდება საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის ბეჭდვით ორგანოში ან/და ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან არაუადრეს 14 (თოთხმეტი) დღისა.
- 10.6. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით სარგებლობა წინამდებარე წესდების 10.3. მუხლით განსაზღვრულ პირებს შეუძლიათ 10.5. მუხლით გათვალისწინებული დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა.
- 10.7. წინამდებარე წესდების 10.6. მუხლით დადგენილი დღის წესრიგის ცვლილების/ცვლილებების მოთხოვნის უფლების განხორციელების შემთხვევაში დღის წესრიგში ცვლილებების გამოქვეყნება წარმოებს არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.
- 10.8. საერთო კრებას თავმჯდომარეობს ასოციაციის თავმჯდომარე. ასოციაციის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში საერთო კრებას თავმჯდომარეობს თავმჯდომარის მოადგილე.
- 10.9. საერთო კრების მსვლელობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ასოციაციის თავმჯდომარე ან 10.8. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე.
- 10.10. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ა. ასოციაციის წესდებაში/სარეგისტრაციო განაცხადში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
 - ბ. გამგეობის წევრების არჩევა და გათავისუფლება;
 - გ. საწევრო გადასახადის ოდენობისა და გადახდის პირობების დამტკიცება;
 - დ. წინამდებარე წესდების მე-15 და მე-16 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.
- 10.11. წინამდებარე წესდების 10.10 მუხლით გათვალისწინებული საკითხების გარდა საერთო კრებაზე ასევე ხორციელდება ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშების მოსმენა გაწეული საქმიანობის შესახებ.
- 10.12. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა წინამდებარე წესდების 10.10 მუხლის “ა” პუნქტით გათვალისწინებული საკითხისა, რისთვისაც საჭიროა დამსწრე წევრთა ხმების 2/3; ხოლო ასოციაციის მიზნის შეცვლასთან და 10.10 მუხლის “დ” პუნქტით გათვალისწინებულ

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვება ასოციაციის ყველა ნამდვილი წევრის ხმათა 4/5. ასოციაციის ყველა ნამდვილ წევრს აქვს თითო ხმა.

- 10.13. კენჭისყრა საერთო კრებაზე არის ღია, გარდა წინამდებარე წესდების 10.10 მუხლის “ბ” პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისა.
- 10.14. 10.13. მუხლით განსაზღვრულის მიუხედავად, საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით.

მუხლი 11. ბამბეობა

- 11.1. ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის გამგეობა, რომელიც შედგება 12 (თორმეტი) წევრისაგან. გამგეობის წევრები 4 (ოთხი) წლის ვადით აირჩევა ასოციაციის საერთო კრების მიერ. გამგეობის წევრის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს ასოციაციის ნამდვილი წევრის დირექტორს ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს, რომელიც აღნიშნულის შესახებ, ასოციაციის თავმჯდომარეს ან აღმასრულებელ დირექტორს აცნობებს საერთო კრების გამართვამდე მინიმუმ, 3 (სამი) დღით ადრე. გამგეობის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ასოციაციის ნამდვილი წევრი იურიდიული პირის წარმომადგენელი - დირექტორი ან დირექტორის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი. გამგეობის წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი წევრის არჩევამდე. ასოციაციის თავმჯდომარე და ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე იმავედროულად არის გამგეობის წევრი. გამგეობის წევრები მათი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ანაზღაურებას არ იღებენ.
- 11.2. გამგეობის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაზე გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება.
- 11.3. გამგეობის სხდომა ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ. გამგეობის სხდომა მოიწვევა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ. გამგეობის წევრებს ეცნობებათ სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე არაუადრეს 3 (სამი) დღისა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ გამგეობის სხდომის ჩატარებასა და გამგეობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას დაუყოვნებლივ საჭიროებს ასოციაციის ინტერესები, – სხდომამდე 1 (ერთი) დღით ადრე. გამგეობის სხდომა ღიაა და მასზე დასწრება შეუძლია ასოციაციის ნებისმიერ წევრს.
- 11.4. გამგეობა იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
- ა. ასოციაციაში წევრის გაწევრიანება ან გაწევრიანებაზე უარის თქმა; ასოციაციის წევრობის შეწყვეტა; ასოციაციის წევრობის შენარჩუნება;
 - ბ. ასოციაციის თავმჯდომარის, ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის არჩევა და ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა;
 - გ. ასოციაციის შინაგანაწესის, დებულებებისა და სხვა შიდა ნორმატიული აქტების დამტკიცება;
 - დ. ასოციაციის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცება; თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრა;
 - ე. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;
 - ვ. ასოციაციის ფილიალების შექმნა, ფილიალების დებულებების დამტკიცება და მათი ხელმძღვანელი პირების დანიშვნა;
 - ზ. მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიების, კომიტეტების, ჯგუფების შექმნა, მათი შემადგენლობებისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა;
 - თ. საერთო კრების მოწვევა;

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

- ი. ასოციაციის წესდების/წესდებაში (სარეგისტრაციო განაცხადში) ცვლილებების პროექტის შემუშავება და საერთო კრებაზე წარდგენა დასამტკიცებლად;
 - კ. ასოციაციის სიმბოლიკის შემუშავება და დამტკიცება;
 - ლ. ასოციაციის მიერ ისეთი ქონების შეძენის, გასხვისების ან ვალდებულებით დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება ასოციაციის წლიური ბიუჯეტის 10%-ს (ათი პროცენტი); ამასთან, ასოციაციის მიერ სხვა ნებისმიერი ისეთი გარიგების გაფორმების თაობაზე, რომლის ღირებულება აღემატება ასოციაციის წლიური ბიუჯეტის 10%-ს (ათი პროცენტი);
 - მ. ასოციაციის წევრებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის ორგანიზება;
 - ნ. გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენა და საერთო კრებაზე წარდგენა;
 - ო. ასოციაციის მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
 - ო¹. ასოციაციის ხაზინადარის არჩევა;
 - პ. სხვა ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც წინამდებარე წესდების შესაბამისად არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას.
- 11.5. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. გამგეობის გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრთა უბრალო უმრავლესობით. გამგეობის ყველა წევრს აქვს თითო ხმა.
- 11.6. გამგეობის სხდომა შეიძლება ჩატარდეს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ ან/და ტელეკომუნიკაციების საშუალებით. ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, გამგეობის წევრებს სხდომამდე შეუძლიათ თავისი გადაწყვეტილება შეატყობინონ წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ტელეკონფერენციით ან უფლებამოსილი წარმომადგენლის საშუალებით.
- 11.7. გამგეობის წევრები გამგეობის შემადგენლობიდან ირჩევენ ასოციაციის თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს გამგეობის მუშაობას, ასევე თავმჯდომარის მოადგილეს გამგეობის უფლებამოსილების ვადით.
- 11.8. გამგეობის სხდომაზე კენჭისყრა ტარდება ღიად, გარდა წინამდებარე წესდების 11.4. მუხლის “ა” და “ბ” პუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა.
- 11.9. გამგეობის სხდომის მიმდინარეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში – გამგეობის სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 12. ასოციაციის თავმჯდომარე; თავმჯდომარის მოადგილე

- 12.1. ასოციაციის თავმჯდომარეს ფარული კენჭისყრით გამგეობის უფლებამოსილების ვადით ირჩევენ გამგეობა გამგეობის წევრთაგან. ასოციაციის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.
- 12.2. ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად ხელმძღვანელობს გამგეობას და ერთპიროვნულად წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- 12.3. ასოციაციის თავმჯდომარე:
- ა. ახორციელებს ასოციაციის საერთო ხელმძღვანელობას;
 - ბ. თავმჯდომარეობს საერთო კრებისა და გამგეობის სხდომებს;
 - გ. ასოციაციის სახელით დებს ნებისმიერი სახის გარიგებას; ხოლო წინამდებარე წესდების 11.4. მუხლის “ლ” პუნქტით გათვალისწინებულ გარიგებებს დებს გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად; ხელს აწერს დოკუმენტაციას ასოციაციის სახელით;
 - დ. იწვევს საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების დღის წესრიგის შემუშავებასა და ასოციაციის წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას, ასევე

უზრუნველყოფს წინამდებარე წესდების 10.3. მუხლით განსაზღვრული პირების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას.

- ე. გამგეობის სხდომაზე წარსადგენად ამზადებს ასოციაციის წევრად პირის მიღების და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხებს; უზრუნველყოფს ასოციაციის წევრთა შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და განახლებას;
 - ვ. უზრუნველყოფს ასოციაციის ჟურნალის წარმოებას, ასოციაციის მართვისა და კონტროლის ორგანოების მიერ მიღებული სხვადასხვა აქტებისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაციას და არღიცხვას;
 - ზ. აღასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
 - თ. შეიმუშავებს და გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის აპარატის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, თანამდებობრივი სარგოების ოდენობას, შინაგანაწესს, დებულებას და სხვადასხვა სახის შიდა ნორმატიული აქტის პროექტებს;
 - ი. გამგეობის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ასოციაციის თანამშრომლებს; ზედამხედველობას უწევს ასოციაციის აპარატის თანამშრომელთა მუშაობას;
 - კ. ყოველწლიურად შეიმუშავებს და გამგეობას წარუდგენს ასოციაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშს; ასევე ანგარიშს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ; წარუდგენს გამგეობას წინადადებებს ასოციაციის მიერ შემდგომში განსახორციელებელი თუ დასაგეგმი საქმიანობების თაობაზე;
 - ლ. დაუყოვნებლივ აცნობებს გამგეობას იმ გარემოებათა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ასოციაციის მდგომარეობაზე.
- 12.4. ასოციაციის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით წინამდებარე წესდების 12.3. მუხლის “გ”, “ე”, “ვ”, “ზ”, “თ”, “ი”, “კ”, “ლ” პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება და 12.3. მუხლის “დ” პუნქტით დადგენილი საკითხების უზრუნველყოფა შეიძლება დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს გამგეობის მიერ აღმასრულებელი დირექტორის არჩევის შემთხვევაში.
- 12.5. ასოციაციის თავმჯდომარეს ვადამდე შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად ასოციაციის თავმჯდომარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ან ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ზიანს აყენებს ან ქმნის ასოციაციის საქმიანი რეპუტაციისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს.
- 12.6. ასოციაციის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის/მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე, რომელსაც ირჩევს გამგეობა გამგეობის წევრთაგან გამგეობის უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 13. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

- 13.1. ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ასოციაციას შეიძლება ჰყავდეს აღმასრულებელი დირექტორი (შემდგომში “აღმასრულებელი დირექტორი”). აღმასრულებელ დირექტორს ფარული კენჭისყრით ირჩევს გამგეობა, რომლის უფლებამოსილების ვადას ასევე განსაზღვრავს გამგეობა. აღმასრულებელ დირექტორს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი დირექტორის არჩევამდე.
- 13.2. აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი და რომელსაც მისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისად შეუძლია განახორციელოს აღნიშნული თანამდებობისათვის გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

- 13.2¹. ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს ენიჭება წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება. მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი და ასოციაციის თავმჯდომარე ასოციაციას წარმოადგენენ როგორც ერთად, ასევე ცალ-ცალკე.
- 13.3. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში აღმასრულებელი დირექტორი ასოციაციის სახსრებიდან იღებს ანაზღაურებას, რომლის ოდენობაც და გადახდის პირობებიც განისაზღვრება გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.
- 13.4. აღმასრულებელი დირექტორი, მისი არჩევის შემთხვევაში, ასორციელებს ასოციაციის ყოველდღიურ, მიმდინარე მართვას და ანგარიშვალდებულია ასოციაციის თავმჯდომარისა და გამგეობის წინაშე.
- 13.5. აღმასრულებელი დირექტორი ასოციაციის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს წინამდებარე წესდების 12.3. მუხლის “გ”, “ე”, “ვ”, “ზ”, “თ”, “ი”, “კ”, “ლ” პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს და უზრუნველყოფს 12.3. მუხლის “დ” პუნქტით დადგენილი საკითხების განხორციელებას.
- 13.6. აღმასრულებელ დირექტორს ვადამდე შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად აღმასრულებელი დირექტორის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მის მიერ უფლებამოსილების გადამტებისა ან ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ზიანს აყენებს ან ქმნის ასოციაციის საქმიანი რეპუტაციისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს.

მუხლი 13¹. ასოციაციის ხაზინაღარი

- 13¹.1. ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ასოციაციას შეიძლება ჰყავდეს ხაზინაღარი. ხაზინაღარს ფარული კენჭისყრით ირჩევს თავისი შემადგენლობიდან გამგეობა, ხაზინაღარის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადით.
- 13¹.2. ხაზინაღარი ასორციელებს მონიტორინგს ასოციაციის ბიუჯეტის დაგეგმვაზე, ასოციაციის ხარჯებზე, საწევრო შენატანებზე და სხვა ფინანსურ საკითხებზე. ხაზინაღარი ყოველწლიურად წარუდგენს წლიურ ანგარიშს და ბიუჯეტს დასამტკიცებლად ასოციაციის გამგეობას და საერთო კრებას.
- 13¹.3. ხაზინაღარის უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში ხაზინაღარი ასოციაციის სახსრებიდან ანაზღაურებას არ იღებს.

თავი IV ასოციაციის ქონება

მუხლი 14. ასოციაციის შემოსავლის წყაროები

- 14.1. ასოციაციის შემოსავლის წყაროებია:
 - ა. ასოციაციის წევრთა საწევრო შენატანები;
 - ბ. გრანტით მიღებული სახსრები და ქონება;
 - გ. შემოწირულობები;
 - დ. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
- 14.2. ასოციაციის მიერ საწესდებო მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად გამგეობის მიერ წესდება საწევრო გადასახადის ოდენობა და გადახდის წესი. საწევრო გადასახადის გადახდას ასორციელებს ასოციაციის ყველა წევრი, გარდა ასოციაციის ნამდვილ წევრ იურიდიულ ფორმაში დასაქმებული/გაერთიანებული ადვოკატებისა, რომელთაც ასოცირებული წევრის სტატუსი მიენიჭათ წინამდებარე წესდების შესაბამისად. ამასთან, ასოციაციის ეს ასოცირებული წევრები საწევროს არ იხდიან მხოლოდ ასოციაციის ნამდვილ წევრ იურიდიულ ფორმაში დასაქმების/გაერთიანების პერიოდში.

იურიდიული ფორმების ასოციაციის წესდება

- 14.2¹. ასოციაციის ნამდვილ წევრთა მიერ საწევროს გადახდა ხორციელდება წელიწადში ერთხელ ერთიანად ან კვარტალში ერთხელ. ასოციაციის ასოცირებულ წევრთა მიერ წლიური გადასახადის გადახდა ხდება ერთიანად, წელიწადში ერთხელ.
- 14.3. ასოციაციის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე გამგეობა ყოველწლიურად ადგენს ანგარიშს და წარუდგენს საერთო კრებას.
- 14.4. დაუშვებელია ასოციაციის ქონების განაწილება მის წევრებს შორის.
- 14.5. ქონება, რომელიც შექმნილია ასოციაციის მიერ მისი საქმიანობის პროცესში წარმოადგენს ასოციაციის საკუთრებას. ასოციაცია ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას საკუთარი შეხედულებისამებრ წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად, საქველმოქმედო მიზნებიდან გამომდინარე ან მისი ორგანიზაციული განვითარების ხელშესაწყობად.

თავი IV ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 15. ასოციაციის რეორგანიზაცია

- 15.1. დაუშვებელია ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა. დაყოფა და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. ასოციაციის ლიკვიდაცია

- 16.1. ასოციაციის ლიკვიდაცია წარმოებს საერთო კრების გადაწყვეტილებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 16.2. დაუშვებელია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის წევრებს, ასევე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლების მქონე პირებს შორის.
- 16.3. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება შეიძლება გადაეცეს ანალოგიური მიზნების მქონე სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ასოციაციის თავმჯდომარე

ზვიად კორძაძე